ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი № 30

23 მაისი , 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი№2

12 :00 სთ

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

თარაშ შურღაია

ანა ლაშხი

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის სხდომაზე საკრებულოში 15 მაისს ქართული კინოს 111 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე ისაუბრა და განმარტა, რომ როგორც დაანონსებული იყო, კომისიის ინიციატივით დედაქალაქის რიგ ქუჩებს ქართველი მსახიობების და რეჟისორების სახელები მიენიჭება. თინათინ ნიბლოშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ადამიანები, რომლებმაც ქართული კინო განუმეორებელ და დაუვიწყარ მოვლენად აქციეს, ნამდვილად იმსახურებენ, რომ დედაქალაქში მათი სახელობის ქუჩები არსებობდეს.

თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, საკრებულოში გამართულ მიღებას ესწრებოდა დედაქალაქის მერი კახი კალაძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საზოგადოების წარმომადგენლები და იმ მსახიობების და რეჟისორების ოჯახის წევრები, რომელთა სახელებიც საკრებულოს წევრების მხარდაჭერის შემთხვევაში დედაქალაქის ქუჩებს მიენიჭება.

კახი კალაძემ ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს და კინოხელოვანებს ქართული კინოს 111 წლის იუბილე მიულოცა. გიორგი ტყემალაძის თქმით, ქართველი კინოხელოვანების ღვაწლის დაფასება აუცილებელია და საკრებულოს ინიციატივა სწორედ მათი სახელების უკვდავყოფას ემსახურება. დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, თბილისის ქუჩებისთვის ქართველი მსახიობების და რეჟისორების სახელების მინიჭება მომავალშიც გაგრძელდება.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებამ თემურ ბაბლუანს, რუსუდან გლურჯიძეს და კახი კავსაძეს მოუსმინა. ყველამ ერთხმად მოიწონა და მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ინიციატივებს:

1. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ლამის ქუჩის მონაკვეთისთვის ბელა მირიანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ლამის ქუჩის შესახვევისთვის, ლამის II ჩიხისთვის და ასპინძის ქუჩის შესახვევის მონაკვეთისთვის დოდო ჭიჭინაძის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, წერნაქის ქუჩის მონაკვეთისთვის ლეილა აბაშიძის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მახათას ქუჩის შესახვევისთვის ლიანა ასათიანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მახათას ქუჩისთვის მარინე თბილელის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ერთი გასასვლელისთვის გიორგი დანელიას სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, რევაზ თაბუკაშვილის ქუჩის ჩიხისთვის და შესახვევისთვის მედეა ჯაფარიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

8. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ვახტანგ ტაბლიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვასილ ბარნოვის II ჩიხისთვის და ერეკლე ტატიშვილის I ჩიხისთვის მსახიობ გივი ბერიკაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ირგვლივ დეტალურად ისაუბრა. მისი განცხადებით, ჩუღურეთის რაიონში ლამის ქუჩა შედგება რამდენიმე სხვადასხვა მონაკვეთისაგან, რაც ართულებს ქუჩების მიგნება-დამისამართებას. "ჩვენ ლამის ქუჩის სახელწოდებით დავტოვებთ ერთ-ერთ მონაკვეთს, თუმცა გარკვეული მონაკვეთებისთვის აუცილებელია სახელწოდებების გადარქმევა"- აღნიშნა მან.

ანალოგიური სიტუაცია გვაქვს ასპინძის ქუჩის შესახვევებთან დაკავშირებითაც, ვინაიდან ისინი გეგმარებით კავშირში არ იმყოფებიან ძირითად ქუჩასთან. წერნაქის ქუჩის ის მონაკვეთი, რომელიც ცვლილებისთვისაა წარმოდგენილი, დღეის მდგომარეობით არსებული წერნაქის II მონაკვეთის პარალელური ქუჩაა.

რაც შეეხება მახათას ქუჩას, აღსანიშნავია, რომ თბილისში მახათას სახელით გვაქვს სხვა გეოგრაფიული ობიექტიც (მახათას ტაძრის მიმდებარედ), რომელსაც ასევე აქვს იდენტური სახელწოდებების მქონე შესახვევი.

უნივერსიტეტის ქუჩის ის მონაკვეთი, რომელსაც გვსურს გიორგი დანელიას სახელი ვუწოდოთ, ფაქტობრივად წარმოადგენს არა ძირითადი, უნივერსიტეტის ქუჩის გაგრძელებას, არამედ სხვა, დამოუკიდებელი ქუჩაა.

მედეა ჯაფარიძის და რევაზ თაბუკაშვილის ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის, ასევე გეოგრაფიული ობიექტის მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, მიზანშეწონილია რევაზ თაბუკაშვილის ქუჩის ჩიხისთვის და შესახვევისთვის მედეა ჯაფარიძის ქუჩის სახელის მინიჭება.

კომისიამ აქტიურად იმუშავა ერთ-ერთი ქუჩისთვის გივი ბერიკაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. გეოგრაფიული ობიექტის შერჩევის პროცესში დადგინდა, რომ მთაწმინდის რაიონში არსებობს ვასილ ბარნოვის ქუჩის II ჩიხი, რომელსაც გეგმარებითი არ აქვს ვასილ ბარნოვის ქუჩასთან და ხსენებულ ობიექტებს

შორის მდებარეობს ინოლა გურგულიას ქუჩა. გარდა ამისა გამოიკვეთა, რომ ობიექტთან მდებარეობს ერეკლე ტატიშვილის ქუჩის ჩიხი. ხსენებული ჩიხები ერთმანეთთან დაკავშირებულია სატრანსპორტო საშუალებებისთვის განკუთვნილი გზით, რაც მათ ერთ დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა. სწორედ ამ ქუჩას გვსურს გივი ბერიკაშვილის სახელი მივანიჭოთ.

თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა 15 მაისს ჩატარებული საჯარო განხილვის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი საკითხების საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გატანას.

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის სხდომაზე განსახილველად კიდევ 4 საკითხი წარმოადგინა:

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სერგო ზაქარიაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობ იაკობ ტრიპოლსკის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გია რომელაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო სპორტული მოედნისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ლევან შათირიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში V ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის რევაზ ბებიას სახელის მინიჭების შესახებ
4. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ცხრა შესახვევისთვის ცაცხვების სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №18 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

15 მაისს ქართული კინოს დღესთან დაკავშირებით კომისიამ გარდა იმ ქუჩებისა, რომელთა სახელდების განხილვაც მოეწყო, პროფესიული წრეების მოსაზრებების საფუძველზე საჭიროდ ჩათვალა ერთ-ერთი ქუჩისთვის იაკობ ტრიპოლსკის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით ემსჯელა.

ოჯახის წევრეებთან კომუნიკაციის შემდეგ, უსახელო ქუჩა შეირჩა საბურთალოს რაიონში, სერგო ზაქარიაძის ქუჩასთან.

მოქალაქე ნაილე შათირიშვილის მომართვის საფუძველზე კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა ზღვისუბნის დასახლებაში, უსახელო სპორტული მოედნისთვის აფხაზეთში დაღუპული მებრძოლის ლევან შათირიშვილის სახელის მინიჭება. აღსანიშნავია, რომ მოედანი მდებარეობს იმ კორპუსთან, სადაც ლევან შათირიშვილი გაიზარდა.

წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვის ღვაწლის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები.

სამგორის რაიონში ბესარიონ ქებურიას დასახლებაში არსებული მეხუთე ქუჩა მოიცავს მონაკვეთებს, რომლებიც მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს ორ დამოუკიდებელ ქუჩად, მათგან ერთ-ერთს კომისიას სურს რევაზ ბებიას სახელი მიანიჭოს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის #18 განკარგულების სიტუაციური ნახაზი მომზადდა განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, თუმცა ქუჩის I და II შესახვევები გეგმარებით კავშირში არ არის ძირითად, ცაცხვების ქუჩასთან. მიზანშეწონილია გასწორდეს ტექნიკური შეცდომა (შეიცვალოს რუკა).

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოისმინეს, კომისიის თავმჯდომარესთან ერთად იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ხსენებული საკითხების საკრებულოს წინაშე ინიციატივებად დარეგისტრირებას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

23 მაისი , 2019 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	თ. ნიბლოშვილი
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	ა. ლაშხი
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი